

წვეთოვანი მორწყვის უპირატესობა

- წყლის ეკონომია 30-40 %.
- აორთქლებაზე ტენის დანაკარგის კოეფიციენტი 5%-ზე ნაკლები.
- წყლის დანაზოგი დაწვიმებით მორწყვასთან შედარებით 2,5-3-ჯერ უკეთესი.
- სარეველა მცენარეების ნაკლები ოდენობა (მცენარისათვის საკვები ელემენტების მიწოდება ხდება უშუალოდ ფესვთა სისტემასთან, რაც არ იწვევს მწკრივთაშორისებში სარეველების მასიურად ზრდას).
- დაავადებების განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნა. (მორწყვისას მცენარე რჩება მშრალი)
- სასუქების ათვისების კოეფიციენტი 70- 80%-მდე აღწევს.
- ნიადაგში მუდმივად შენარჩუნებულია საჭირო რაოდენობის ტენი.
- გამორიცხავს ნიადაგის წყლით გაჯერებას და მარილების დაგროვებას.
- მორწყვა შესაძლებელია ყველაზე ცხელ დღეებშიც (გამორიცხავს მზისაგან ფოთლების დაწვის საშიშროებას).
- ნარჩუნდება ნიადაგის მიკროორგანიზმები
- რამდენჯერმე მცირდება შრომის დანახარჯი.
- იზრდება მოსავლიანობა საშუალოდ 3-ჯერ.